



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ხ ო ნ ი  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 40 31

21/03/2018

**ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 22 მარტის რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 26-ე მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის , 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 51-ე მუხლის 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა**:

**მუხლი 1.** 2018 წლის 22 მარტს 12 საათზე ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში (ხონი, პ. კაკაბაძის ქ.#17) მოწვეულ იქნას ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა შემდეგი **დღის წესრიგით**:

1.მშენებლობის ნებართვასთან დაკავშირებული (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის, რადიაციული ან ბირთვული ობიექტის მშენებლობისა) დოკუმენტის ტიპური ფორმებისა და მშენებლობის სანებართვო მოწმობის ფორმის აღრიცხვა -ანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ.

**მომხსენებელი:**ალექსანდრე იობიძე -მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

2.ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ხონის“ დაფუძნების ცნობათ მიღების შესახებ.

**მომხსენებელი:**ალიკო ვეკუა - იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

3.ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ ახალი შემადგენლობის დამტკიცების ცნობათ მიღების შესახებ.

**მომხსენებელი:**ალიკო ვეკუა - იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

4. .ფრაქცია „ამომრჩევლის ხმის “ ახალი შემადგენლობის დამტკიცების ცნობათ მიღების შესახებ.

**მომხსენებელი:**ალიკო ვეკუა - იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

5. „ხონის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეულის შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის, ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 31 მაისის #12 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

**მომხსენებელი:** ალიკო ვეკუა - იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე.

**მუხლი 2.** ძალადაკარგულად ჩაითვალოს ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2016 წლის 15 დეკემბრის #40 147 ბრძანება „ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 დეკემბრის რიგგარეშე სხდომის მოწვევის შესახებ“

**მუხლი 3.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N 1) მისი გამოცემიდან 1 /ერთი/ თვის ვადაში

**მუხლი 4.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვალერი ბახტაძე



საკრებულოს თავმჯდომარე